

ანტიკური ლიტერატურა

ბიბლიოთეკის წარმოშობა ძველ საბერძნეთსა და რომში (ტრადიციული შეხედულებების რევიზირება)

გიორგი ჭიჭინაძე

giorgi.chichinadze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.14>

ანტიკური ბერძნული ბიბლიოთეკის წარმოშობასთან დაკავშირებით რამდენიმე ცნობილი ისტორია არსებობს, თუმცა, ვფიქრობთ, მათ გარკვეული ხარვეზი ახლავს. პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ დადასტურებული არ არის ლიცეუმების არსებობა არისტოტელეს დროს და შესაბამისად, ფილოსოფოსის, რომელიც ბიბლიოთეკის პირველ შემქმნელად ითვლება, წიგნები, სავარაუდოდ, განთავსებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ადგილას. ამ ტიპის სადაც შეხედულებებზე ვამახვილებთ ყურადღებას წინამდებარე სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: ბიბლიოთეკა, წარმოშობა, ბერძნული, რომაული, რევიზირება.

ანტიკური, ბერძნული და რომაული, ბიბლიოთეკების წარმოშობასთან დაკავშირებით რამდენიმე ცნობილი ისტორია არსებობს, თუმცა, ვფიქრობთ, მათ გარკვეული ხარვეზი ახლავს. პირველ რიგში, გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ დადასტურებული არ არის ლიცეუმის (ლიკეიონი) არსებობა არისტოტელეს დროს და შესაბამისად, ფილოსოფოსის წიგნები, სავარაუდოდ, განთავსებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ადგილას. არც ალექსანდრის უძველეს ისტორიაზე მოგვითხრობს წყაროები და საეჭვოა, რომ ალექსანდრის ბიბლიოთეკის მოდელი სწორედ არისტოტელეს ლიკეიონი ყოფილიყო. შეცდომად მიგვაჩნია ასევე მისი იდენტიფიცირება პერგამონის ბიბლიოთეკასთან. რომის უძველესი ბიბლიოთეკების შესახებ ინფორმაციაც საკმაოდ მწირია. მტკიცება, რომ წიგნები გამოიყენებოდა მხოლოდ კოლონადაში (სვეტების გრძელი თანმიმდევრობა, ცალკე მდგომი, ან შენობის ნაწილი) ან ექსედრაში (ნახევარწრიული ნიში, რომელშიც დასაჯდომი ადგილები იყო მოწყობილი, განსხვავებით ოთახისგან, რომელშიც წიგნები ინახებოდა), შეიძლება ადვილად უარვყოთ (Bagnall 2002: 25).

განაცხადი იმის შესახებ, რომ არისტოტელემ შექმნა პირველი

ბიბლიოთეკა, გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდება. პირველი არის არისტოტელეს დროს ლიკეიონის არქიტექტურის შესახებ ცნობების ნაკლებობა (Dix 1994: 2820296); მეორე - არისტოტელე სადაც წიგნებს ინახავდა, ჩვენი აზრით, არ უნდა ყოფილიყო ლიკეიონი. ათენის სამი ცნობილი გიმნასიონი (გიმნაზია), რომლებიც ნაპოვნია - აკადემია (ჰეკადემია), ლიკეიონი და კინოსარგესი, არქაულ პერიოდში გაჩნდა. ეს სამი ტერიტორია, ყველა ქალაქს გარეთ იყო და საზოგადო სიწმინდეებად მიიჩნეოდა. აკადემია წმინდა იყო გმირი ჰეკადემოსისთვის, ლიკეიონი - აპოლონ ლიკეიონისთვის და კინოსარგესი - ჰერაკლესთვის (Travlos 1971: 42). ეს სიწმინდეები თავდაპირველად მხოლოდ უბრალო ადგილები იყო ფიზიკური მომზადებისა და სამხედრო წვრთნებისთვის, რამე კონკრეტული შენობების გარეშე. ისინი მოიცავდნენ დიდ ტერიტორიებს. აკადემია იყო დაახლოებით 450x300მ (Delorme 1960: 36–50). ასევე, საკმაოდ დიდი ფართობი ეჭირა ლიკეიონს (Xen. Eq. mag. 3.1.6–7), რომელსაც იყენებდნენ ჯარების წრთვნისთვის (Ar. Pax 35–56), ხოლო პლუტარქოსი აღნიშნავს, რომ სულა ლიკეიონს და აკადემიას იყენებდა ალყის დროს გამოყენებული ძრავების ასაშენებლად (Plut. Sull.23).

ძვ.წ. IV საუკუნის განმავლობაში გამოჩნდა მონუმენტური საწვრთნელი სტრუქტურები (დაწვრ. იხ. Wacker 2007). პლატონი თავის ნაშრომში *Euthydemus* საუბრობს გასახდელ ოთახზე (აπიბატერია) და დაფარულ ბილიკზე ლიკეიონში (κατασ्तέγῳ δρόμῳ), რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ გიმნასიონი ფიზიკური სტრუქტურის გაგებით (და არა, როგორც უბრალოდ ადგილი ვარჯიშისთვის) უკვე ჩამოყალიბებული იყო. ასევე საუბრობენ დიდ ოთახზე გრძელი სკამებით, რომელიც ბილიკზე გადიოდა (Delorme 1960: 374–94; Wacker 2007: 349–51).

სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ვიცით ლიკეიონის ოთახების განლაგების შესახებ ძვ.წ. IV საუკუნეში. კრისტიან კალმერმა გამოიყენა თეოფრასტოსის ინფორმაცია ლიკეიონის თავისებურებების შესახებ, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს დოკუმენტი ვერ გამოდგება სახელმძღვანელოდ (Callmer 1944: 147) თეოფრასტოსი გარდაიცვალა ძვ.წ. 287–286 წლების მახლობლად და არსებობს ეჭვი, რომ ამ ტერიტორიამ საკმაოდ დიდი ცვლილებები განიცადა არისტოტელეს სიკვდილის შემდეგ.

დიონისიოს ლაერტელის ცნობით, დემეტრიოს ფალერუმელმა თეოფრასტოსს გადასცა ლიკეიონის მიმდებარე მიწის ნაკვეთი (Diog. Laert. 5.39) და ის შეიძლება ყოფილიყო მრავალი პერიპატეტული საქმიანობის ადგილი. თეოფრასტოსი ანდერძში ახსენებს ბევრ არასრულ სამშენებლო პროექტს, რაც მიანიშნებს, რომ ლიკეიონის ტერიტორია მაშინაც ხშირად იცვლებოდა. შესაბამისად, გაგვიჭირდება იმის მტკიცება, რომ შემდგომი

გ. ჭიჭინაძე

ბიბლიოთეკები შეიქმნა არისტოტელეს ლიკეიონის მოდელით, რადგან არ არსებობს სანდო მტკიცებულება იმისა, თუ როგორ გამოიყურებოდა არისტოტელეს ლიკეიონი.

შემდეგი მნიშვნელოვანი შენიშვნა არის ის, რომ ეს საერთოდაც არ იყო არისტოტელეს ლიკეიონი. ჯონ ლინჩი აღნიშნავს, რომ ლიკეიონი იყო სახალხო საკურთხეველი, სადაც აკრძალული იყო კერძო საკუთრების განთავსება, მით უმეტეს, ისეთი არა ათენელისთვის, როგორიც არისტოტელე იყო (Lynch 1972: 60).

ლიკეიონში იკრიბებოდნენ სხვადასხვა ტიპის მასწავლებლები და იქ ისინი თავიანთ მსმენელებს (მოსწავლეებს) პოულობდნენ. სავარაუდოდ, ეს იყო სოფისტების თავშეყრის ადგილიც. პლატონი აღნიშნავს, რომ სოკრატესს უყვარდა იქ ხშირად მისვლა (*Euthphr. 2a*). ისოკრატესიც ჰყვება ლიკეიონზე, როგორც სასწავლო თავშეყრის ადგილზე (*Panath. 18, 33*). სამუალო კომედიაც იმავეზე მეტყველებს (Lynch 1972: 46). სავარაუდოდ, არისტოტელეც მას ამავე მიზნისთვის იყენებდა და იქ ვერ იქნებოდა მისი ბიბლიოთეკა განთავსებული, რადგან არისტოტელე არ ფლობდა ლიკეიონის რომელიმე ნაწილს და იგი იყო საჯარო ადგილი, სადაც არისტოტელე ასწავლიდა.

იდეა, რომ ალექსანდრიის ბიბლიოთეკა შეიქმნა არისტოტელეს ლიკეიონის მოდელით, კიდევ უფრო პრობლემური გვეჩვენება. მტკიცება, რომ არისტოტელემ გამოიგონა ბიბლიოთეკა და ეს იდეა ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში განსხვეულდა, ეკუთვნის სტრაბონს (13.1.54), რომელიც წერდა ამ ფაქტიდან სამასი წლის შემდეგ და აშკარად არასწორი მტკიცებით, რომარისტოტელეასწავლიდა პტოლემოსებს. ლიფსიუსის ინტერპრეტაცია (De Bibl. 2.2), რომ სტრაბონი მხოლოდ გავლენაზე ლაპარაკობდა, არ არის დამაჯერებელი. ლიფსიუსი, უბრალოდ, ცდილობდა სტრაბონის აშკარა შეცდომის სწორად გაგებას და ახსნას.

მოსაზრება, თითქოს დემეტრიოს ფალერუმელმა მოიტანა ბიბლიოთეკის იდეა ათენიდან ალექსანდრიამდე, ნაკლებად სანდოა. როგორც ბაგნალმა აღნიშნა, წყაროები, რომლებიც ჩვენ გვაქვს ალექსანდრიის ბიბლიოთეკის წარმოშობის შესახებ, მის დაარსებას პტოლემეოს II ფილადელფოსის (ძვ.წ. 285–246) დროზე მიანიშნებს (Bagnall 2002: 349–51). ბაგნალმა აჩვენა, რომ ზოგიერთების მტკიცება, თითქოს ბიბლიოთეკა პტოლემეოს I სოტერის დროს უნდა დაწყებულიყო, არის აშკარად წყაროების არასწორად გაგების შედეგი (Bagnall 2002: 350–51).

რაც შეეხება სავარაუდო მსგავსებას არისტოტელესა და ფილადელფოსის ბიბლიოთეკების არქიტექტურულ ფორმებს შორის, იგი ემყარება თეოფრასტოსის ანდერძს. სტრაბონი ბიბლიოთეკას საერთოდ არ ახსენებს, მაგრამ ახსენებს მუზეუმს (მუსეიონი). მიუხედავად იმისა,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაშვე, 2024, №1(23)

რომ მუზეუმი არ შეცვლილა 250 ან მეტი წლის წინ სტრაბონამდე, მისი აღწერა არ მიესადა გება პერგამონის ბიბლიოთეკას. სტრაბონის მიერ დაფიქსირებული შენობის ძირითადი ნიშნებია პერიპატოსი, ექსედრა და ოიკოს მეგასი. პერგამენის კომპლექსში არ არის ექსედრას ნიშნები, ხოლო კოლონადისა და დიდი ოთახის არსებობა მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება (Jacob 2013: 57-81).

ამასთან, ვერც იმის მტკიცებას შევუდგებით, რომ პერგამონის ბიბლიოთეკის იდენტიფიკაცია სწორია. ალექსანდრე კონზეს მოსაზრება ამ თვალსაზრისით ემყარებოდა რამდენიმე ფაქტორს (დაწვრ. იხ. Conze 1884): დიდ დარბაზში იდგა ათენას უზარმაზარი ქანდაკება, რომელიც, კონზეს აზრით, შესაფერისი იქნებოდა ბიბლიოთეკისთვის (იუვენალისმა სწორედ ასეთი რამ ახსენა (Juv. Sat. 3.219: ახლა გაუჩინარებული ხის (იქნებ, წიგნის?) თაროები). იქვე ჰომეროსის, ალკეოსის, ტიმოთეოსის და პეროდოტოსის ქანდაკებებს ცენტრალური ნაწილი უკავიათ (Conze 1884: 1261-62). მისი აზრით, ბიბლიოთეკები ხშირად განთავსებული იყო ტაძრის მიდამოებში. ესეც ხომ წმინდა ადგილად იყო მიჩნეული?!

კონზემ ასევე არგუმენტად გამოიყენა აფთონიუსის ცნობა იმასთან დაკავშირებით, რომ კოლონადებში აშენდა სვეტები, რომელთაგან ზოგიერთი იყო წიგნების საწყობი (παρῳκοδόμηνται დე სηκοὶ τῶν στοῶν ἔνδιθεν, οἱ μὲν ταφεῖα γεγενημένοι ταῖς βίβλοις, Progymnasmata 12). კონზე ამტკიცებდა, რომ სათავსოების კომბინაცია კოლონადებთან უნდა იყოს ელინისტური და რომაული ბიბლიოთეკებისთვის დამახასიათებელი. მსგავსიაღწერაშემოგვთავაზაპლუტარქოსმალუკულუსისბიბლიოთეკაზე საუბრისას (ლუკ. 42.1). ასევე იყო არქეოლოგიური შედარება, რომელიც კონზემ აღმოაჩინა პაპირუსების ვილაში არსებულ ბიბლიოთეკაში. ყველაფერი ამის საფუძველზე, კონზე ამტკიცებდა, რომ სწორედ ეს იყო ცნობილი პერგამონის ბიბლიოთეკა.

ამგვარი იდენტიფიკაცია ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში არავის გაუპროტესტებია. ერთადერთი საკამათო საკითხი ეხებოდა დიდი დარბაზის გამოყენებას. ზოგი თვლიდა, რომ აქ შეიძლებოდა ყოფილიყო წიგნების თაროები (რიჩარდ ბონი); ზოგისთვის იგი ბნელი ფართი იყო და წიგნები გვერდით ოთახში უნდა ყოფილიყო მოთავსებული (კარლ ზიატცკო); ჰარალდი მიელსის აზრით, ამ კომპლექსს არავითარი კავშირი არ ჰქონდა პერგამონის ბიბლიოთეკასთან (Bohn 1885: 56-71; Dzitzko 1897: 415; Mielsch 1995: 770-71).

რაც შეეხება ანტიოქიისა და პელას ბიბლიოთეკებს, მათი არსებობის მტკიცებულება ძალიან სუსტია და შეიძლება დავეყრდნოთ მხოლოდ გვიან ბიოგრაფიულ ტრადიციებს ევფორიონისა და არათუსის შესახებ (Maass 1898: 78).

გ. ჭიჭინაძე

პლუტარქოსი წერს, რომ ემილიუს პაულუსმა წიგნები წაიღო უკან რომში, როცა მან დაამარცხა მეფე პერსევსი (ძვ.წ. 179-168), თუმცა, ის ფაქტი, რომ მეფეს ჰქონდა წიგნები, მაინცდამაინც არ უნდა მიანიშნებდეს, რომ მას ჰქონდა სამეფო ბიბლიოთეკაც (Harris 1995: 57).

ასევე, გაუგებარია, რომ რომის კერძო ბიბლიოთეკებს ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული არქიტექტურული ფორმა, მით უმეტეს, „ბერძნული ბიბლიოთეკის“ მსგავსი. მენანდროსის სახლის ბიბლიოთეკა (ფიგ. 2) შესანიშნავი მაგალითია კერძო ბიბლიოთეკაზე წარმოდგენის შესაქმნელად, როგორც ამას ლიტერატურული წყაროებიდან ვგებულობთ - პატარა ოთახი წიგნების თაროებით იხსნება კოლონადაზე ექსედრებით. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ თაროებზე, ალბათ, იყო მხოლოდ მცირე ზომის კერამიკის ნათურები, მინის ჭურჭელი და სხვა წვრილმანი ნივთები, რომლებიც რეალურად აღმოჩინეს კიდევ ოთახში; ყოველ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ იგი სათავსო უფრო იყო, ვიდრე ბიბლიოთეკა. მენანდროსის სახლის ბიბლიოთეკა არაფრით ჰგავდა ბიბლიოთეკას და არაფრით გამოირჩეოდა მდიდარი მემამულების ვილებიდან.

რაც შეეხება მტკიცებას, რომ „ბერძნულ ბიბლიოთეკებში“ (და რომაულ კერძო ბიბლიოთეკებში) წიგნები ინახებოდა სათავსოში, ხოლო წიგნთან დაკავშირებული აქტივობები (კითხვა, დისკუსია და ა.შ.) ტარდებოდა კოლონადაში - ვერანაირი მტკიცებულება მის დასადასტურებლად ვერ მოვიძებნეთ (შდრ.: Dillon 2003).

ციცერონი ნაშრომში *De Finibus* (3.7), d (3.7), აღწერს საკუთარ სტუმრობას ახალგაზრდა ლუკულუსის ტუსკულანის ვილაში, რათა წამოიღოს რამდენიმე წიგნი მისი ბიბლიოთეკიდან. იქ მას შეხვდა მარკუს კატო, რომელიც იჯდა ბიბლიოთეკაში (*in bibliotheca sedentem*), ხოლო ირგვლივ ეწყო უამრავი წიგნი.

ნაშრომში *De Divinatione* (2.8) ციცერონი წერს: როდესაც ბევრი ვისეირნეთ, გადავწყვიტეთ, ლიცეუმის (ტუსკულანის ვილაში და არა ათენში) ბიბლიოთეკაში დავმსხდარიყავით.

ციცერონი აღნიშნავს, რომ როცა რაიმე დიდტანიან ნაწარმოებზე მუშაობდა, როგორიცაა, მაგალითად, „ორატორი“, თუვინმეესტუმრებოდა, ბიბლიოთეკაში იმალებოდა, რომ მუშაობაში ხელი არ შეშლოდა (Ad Fam. 7.28.2). ციცერონი წერს გაიუს ტრებატიუსს, როგორ ისხდნენ მის ბიბლიოთეკაში და კითხულობდნენ მათთვის საინტერესო წიგნებს, მერე კი, როგორ ორივე დაინტერესდა არისტოტელეს ნაშრომით *Topica: Cum enim mecum in Tusculano esses et in bibliotheca separatim uterque nostrum ad suum studium libellos quos uellet euolueret, incidisti in Aristotelis Topica quaedam, quae sunt ab illo pluribus libris explicata. Qua inscriptione commotus continuo a me librorum eorum sententiam requisisti.*

ვიტრუვიუსი ასევე თავის რჩევებში ბიბლიოთეკების სახლის შიგნით განლაგების შესახებ, მიუთითებს, რომ წიგნების ოთახი უფრო წიგნების ფაქტობრივი გამოყენების (წაკითხვის) ადგილი იყო, ვიდრე უბრალოდ მათი შენახვის. იგი წერს, რომ ბიბლიოთეკა ყოველთვის უნდა იყურებოდეს აღმოსავლეთისკენ, რომ მასში შუქი კარგად აღწევდეს (cubicula et bybliothecae ad orientem spectare debent; usus enim matutinum postulat lumen, 6.4.1). აშკარაა, რომ თუ ბიბლიოთეკაში აუცილებელი პირობა იყო სინათლის არსებობა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წერა-კითხვაც. მნელი სათქმელია, რამდენად ემთხვევა რეალობას ვიტრუვიუსის ინფორმაციები, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, რომ იგი კითხვის იდეას იგონებს, ან უსაფუძვლოდ წერს (Davies 2003: 323-343).

ამგვარად, შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ უძველესი, ბეძნული და რომაული, ბიბლიოთეკების წარმოშობასთან დაკავშირებული მოსაზრება შეიძლება დროთა განმავლობაში გარკვეულ რევიზირებას დაექვემდებაროს.

ლიტერატურა

- Bagnall, R. S. 2002. "Alexandria: Library of Dreams." *PAPs* 1.
- Bohn, R. 1885. *Das Heiligtum der Athena Polias Nikephoros*. Berlin: W. Spemann.
- Callmer, C. 1944. "Antike Bibliotheken." Op. Arch. 3 (*Acta Instituti Romani Regni Sueciae* 10).
- Conze, A. 1884. "Die pergamenische Bibliothek." *Sitzungsberichte der königlich preussischen Akademie der Wissenschaft zu Berlin*. 1884: 1259–70.
- Davies, J. K. 2003. "Greek Archives: From Record to Monument." In Brosius, M. ed. *Ancient Archives and Archival Traditions: Concepts of Record-Keeping in the Ancient World*. Oxford: Oxford University Press.
- Delorme, J. 1960. *Gymnasion: Étude sur les monuments consacrés à l'éducation en Grèce*. Paris: E. de Boccard.
- Dziatzko, K. 1897. "Bibliotheken." *RE* 3.1: 405–24.
- Dillon, J. 2003. *The Heirs of Plato: A Study of the Old Academy*, 347–274 B.C. Oxford: Clarendon Press.
- Dix, T. K. 1994. "'Public Libraries' in Ancient Rome: Ideology and Reality." *Libraries & Culture* 29.
- Harris, M. H. 1995. *History of Libraries in the Western World*. 4th ed. Metuchen, NJ: The Scarecrow Press.
- Jacob, C. 2013. "Fragments of a History of Ancient Libraries." In *König, Oikonomopoulou and Woolf*.

გ. ჭიჭინაძე

- Lynch, J. P. 1972. *Aristotle's School: A Study of a Greek Educational Institution.* Berkeley: University of California Press.
- Maass, E. 1898. *Commentariorum in Aratum Reliquiae.* Berlin: Weidmann.
- Mielsch, H. 1995. "Die Bibliotheken und die Kunstsammlung der Könige von Pergamon." AA 765–79.
- Travlos, J. 1971. *Pictorial Dictionary of Ancient Athens.* London: Thames and Hudson.
- Wacker, C. 2007. "Die bauhistorische Entwicklung der Gymnasien von der Parkanlage zum 'Idealgymnasium' des Vitruv." In *Kah and Scholz.*

Classics

The Origin of the Library in Ancient Greece and Rome (Revising Traditional Views)

Giorgi Chichinadze

giorgi.chichinadze@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.14>

There are several well-known stories about the origins of the ancient Greek library, but we believe they are somewhat flawed. First of all, we would like to point out the fact that the existence of lyceums at the time of Aristotle is not confirmed, and therefore, the books of the philosopher, who is considered the first creator of the library, should probably have been placed in different places. We focus on these types of controversial views in this article.

Keywords: library, origin, Greek, Roman, revision.

There are several well-known stories about the origins of the ancient Greek library, but we believe they are somewhat flawed. First of all, we would like to point out the fact that the existence of lyceums at the time of Aristotle is not confirmed, and therefore, the books of the philosopher, who is considered be the first creator of the library, should probably have been placed in different places. In this article, we focus on controversial views of the type. Nor do the sources tell us about the ancient history of Alexandria, and it is doubtful that the Lyceum was supposed to be the model of the Alexandrian library. It is also

a mistake to identify it with the library of Pergamone. Information about the ancient libraries of Rome is also quite scarce. The claim that books were used only in the colonnade or exedra (as opposed to the room in which they were kept) can be easily dismissed (Bagnall 2002: 25).

The claim that Aristotle created the first library faces some objections. The first is the lack of records of Lyceum architecture in Aristotle's time (Dix 1994: 2820296). The second is that the place where Aristotle kept his books, in our opinion, could not have been a lyceum. The three famous Athenian gymnasiums that have been found - the Academy, the Lyceum and the Kinosarges - originated in the Archaic period. These three areas were all outside the city and were considered public sanctuaries.

The academy was about 450 x 300 m (Delorme 1960: 36–50). A large area was also occupied by the Lyceum (Xen. Eq. mag. 3.1.6–7) for the training of the troops (Ar. Pax 35–56), and Plutarch notes that Sulla used the Lyceum and the Academy to build the engines used during the siege (Plut. Sull. 23).

During the 4th century B.C., monumental training structures appeared (for details, see Wacker 2007). Plato in his *Euthydemus* speaks of a dressing room (ἀποδυτηρίω) and a covered walkway (καταστέγῳ δρόμῳ) in the lyceum, indicating that the gymnasium in the sense of a physical structure (and not simply a place for training) was already established. There is also talk of a large room with long benches that led to a passageway (Delorme 1960: 374–94; Wacker 2007: 349–51).

Unfortunately, we know very little about the layout of the Lyceum rooms in the IV century. Christian Callmer used the will of Theophrastus to outline the features of the Lyceum, but the document cannot serve as a guide (Callmer 1944: 147).

Theophrastus died in around 287-286 B.C., and it is reasonable to suspect that the area underwent considerable changes after Aristotle's death.

The next important note is that this was not Aristotle's Lyceum at all. John Lynch notes that the Lyceum was a public sanctuary where private property was forbidden, especially for a non-Athenian such as Aristotle (Lynch 1972: 60). Different types of teachers gathered in the lyceum and found their listeners (pupils) there. It was probably a gathering place for sophists. Plato mentions that Socrates liked to come here often (Euthphr. 2a). Isocrates also mentions the Lyceum as a place of learning (Panath. 18, 33). The average comedy tells the same (Lynch 1972: 46). Aristotle probably used it for the same purpose, and his library could not have been located there, since Aristotle did not own any part of the Lyceum and it was a public place where he taught.

Plutarch records that Aemilius Paulus took the books back to Rome when

8. ქიჯინაძე

he defeated King Perseus (179-168 BC), although the fact that the king had the books does not necessarily indicate that he also had a royal library (Harris 1995: 57).

It is also not clear that the private libraries of Rome had any special architectural form, much less the “Greek library” form. The Library of the House of Menandros (Fig. 2) is an excellent example of creating a representation of a private library as we understand it from literary sources - a small room with bookshelves opens onto a colonnade with exedes. Penelope Ellison argues that the shelves probably only contained small ceramic lamps, glassware, and other trinkets that were actually found in the room; In any case, it is likely that it was a storage room rather than a library. The library of the house of Menandros was nothing like a library, and nothing distinguished from the villas of wealthy landlords.

As for the claim that in “Greek libraries” (and Roman private libraries) books were stored in the vault, and book-related activities (reading, discussion, etc.) took place in the colonnade - we could not find any evidence to support it (cf.: Dillon 2003).

Cicero, in *De Finibus* (3.7), d (3.7), describes his own visit to the Tusculan villa of the young Lucullus to borrow some books from his library. There he met Marcus Cato, who was sitting in the library, while many books were arranged around him. In the work *De Divinatione* (2.8) Cicero writes: After we had walked a lot, we decided to sit in the library of the Lyceum (in the Tusculan villa, not in Athens). Cicero writes to Gaius Trebatius how they sat in his library and read books of interest to them, and then how they both became interested in Aristotle’s work *Topica*: Cum enim mecum in Tusculano esses et in bibliotheca separatim uterque nostrum ad suum studium libellos quos uellet euolueret, incidisti in Aristotelis Topica quaedam, quae sunt ab illo pluribus libris explicata. Qua inscriptione commotus continuo a me librorum eorum sententiam requististi.

Vitruvius also, in his advice on the arrangement of libraries within the house, indicates that the book room was a place for the actual use (reading) of books, rather than just their storage. He writes that the library should always face the east so that the light reaches it well (cubicula et bybliothecae ad orientem spectare debent; usus enim matutinum postulate lumen, 6.4.1). It is obvious that if the presence of light was a necessary condition in the library, it would be possible to read and write there. It is difficult to say how true Vitruvius’s information is, but it is unlikely that he is inventing the idea of reading (Davies 2003: 323-343).

In this way, we tried to show that the opinion related to the origin of ancient, Greek and Roman libraries can be subject to some revision over time.